# დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 21 08
24/04/2019

**დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (არასაცხოვრებელი ფართი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ-ბავშვთა და ახლგაზრდობის ეროვნული ცენტრისათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 122-ე მუხლის მე-6-ე პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5-ე პუნქტის და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 24.04.2019 წლის ნ07/1615 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. დმანისში 26 მაისის ქუჩა №17 -ში მდებარე უძრავი ქონება, (ს.კ.82.01.43.251) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ- ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრს (ს.კ 204935712) მისი არსებობის ვადით.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე